ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 28 სექტემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. მერაბ ფილიპია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. კახა ლატარია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 28 სექტემბრის N05/2850 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 28 სექტემბრის N05/2850 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

წარმოდგენილი პროექტების განხილვის დაწყებამდე სხდომის თსავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავადმყოფობის გამო, ბიუროს სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია, გამომდინარე აქედან წარმოდგენილ პროექტებს და კომისიის დასკვნებს ბიუროს გააცნობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ბერაია და სთხოვა მას ბიუროს წევრებისთვის გაეცნო წარმოდგენილი საკითხი.

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (დამატებითი ქონება) არის დაუტვირთავი, რის გამოც მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთები გაიცეს იჯარით ფორმით, აუქციონის წესით, 15 წლის ვადით, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

2) რაც შეეხება მეორე საკითხს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ერიცხება ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ფანჯრების დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი შავი ლითონის ჯართი, სავარაუდოდ 1200 კგ-ის ოდენობით, ასევე 3 ცალი ცხაური 60 კგ-ის ოდენობით და მუნიციპალიტეტში ჩამოწერილი ტექნიკების დაშლის შედეგად მიღებული მეორადი ნარჩენი სავარაუდოდ 265 კგ-ის ოდენობით. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული შავი ლითონის ჯართი, სავარაუდოდ 1525 კგ-ის ოდენობით პრივატიზებულ იქნას აუქციონის წესით. ზემო აღნიშნულის საფუძველზე მერიის მიერ მიმზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასში გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ პროექტები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა